



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 225

2022 წლის 14 დეკემბერი

ქ. თბილისი

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსის შედეგად
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 29 დეკემბრის N1435044 ბრძანების, „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 29 დეკემბრის N1435044 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2022 წლის 11 ნოემბრის N1441201 ბრძანებით დამტკიცებული მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1602321, 14.12.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2022 წლის 16 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) იურიდიული პირის ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება დაფინანსების თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე (2022 წლის მდგომარეობით);

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი



ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 14 დეკემბრის ~~225~~ ბრძანებით

2022 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსი (II)

გამარჯვებული პროექტები

N	შიფრი	პროექტის სათაური
1	SPF-II-22-080	მოლაპარაკე ქვები
2	SPF-II-22-062	ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები საზღვარგარეთ